საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2
2024 წლის 26 იანვარი

ქ. საჩხერე

„საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველ(ებ)ის (ძაღლი, კატა და სხვა კომპანიონი ცხოველ(ებ)ის) მოვლა-პატრონობისა და მათი ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველ(ებ)ის (ძაღლი, კატა და სხვა კომპანიონი ცხოველ(ებ)ის) მოვლა-პატრონობისა და მათი ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის №5 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი, 05/02/2019, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.130.016336) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მეორე ნაწილის „რ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლის, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 209^3 მუხლის საფუძველზე, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**“

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 6**

ამ წესის დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევი დაჯარიმდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლისა და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საჩხერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გაგა დარბაიძე**